ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №01-07/171

ქ. ბათუმი „ 8 “ სექტემბერი 2022 წ.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის პირობების ცვლილებისა და ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ

სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ენრიკო ბერიძის 2022 წლის 29 ივნისის №731753, 08 ივლისის №781756, 13 ივლისის №799259 და 23 აგვისტოს №936158 განცხადებები, სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 16 დეკემბრის №01-07/151 ბრძანებით განსაზღვრული სანებართვო პირობების ცვლილებისა და სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ გაცემული 2022 წლის 23 მარტის N03-05/24 სანებართვო მოწმობით განსაზღვრული ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნით.

სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია და დადგინდა რომ სრულად აკმაყოფილებს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 107-ე 112-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე, 23-ე, 25-ე, 47-ე, 48-ე, 49-ე 53-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 დეკემბრის №386 დადგენილებისა და სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის

სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის ,,გ" პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეტანილი იქნას ცვლილება სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 16 დეკემბრის №01-07/151 ბრძანებით განსაზღვრულ საპროექტო დოკუმენტაციაში, ენრიკო ბერიძის 2022 წლის 29 ივნისის №731753, 08 ივლისის №781756, 13 ივლისის №799259 და 23 აგვისტოს №936158 განცხადებით წარმოდგენილი ცვლილების ამსახველი დოკუმენტაციის მიხედვით;

2. გაგრძელდეს სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ გაცემული 2022 წლის 23 მარტის N03-05/24 სანებართვო მოწმობით განსაზღვრული ნებართვის მოქმედების ვადა 2022 წლის 08 დეკემბრამდე;

3. გაიცეს ახალი სანებართვო მოწმობა;

4. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ადმინისტრაციულმა განყოფილებამ;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (ქ. ბათუმი, ლადო გუდიაშვილის ქ. №4) ერთი თვის ვადაში და ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30), კანონმდებლობით დადგენილი წესით;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

სააგენტოს დირექტორის მ/შ **ზაურ ახვლედიანი**

კულტურული მემკვიდრეობის
ძეგლზე სამუშაოების

სანებართვო მოწმობა

N 03-05/86

1. ნებართვის მფლობელი
ენრიკო ბერიძე – პირადი ნომერი: 61008000106; მისამართი: ქალაქი ბათუმი, მემედ აბაშიძის №9, ბინა №14;

2. სამართლებრივი საფუძველი
ენრიკო ბერიძის 2022 წლის 29 ივნისის №731753, 08 ივლისის №781756, 13 ივლისის №799259 და 23 აგვისტოს №936158 განცხადება; სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 08 სექტემბრის №01-07/ 171 ბრძანება;

3. სანებართვო ობიექტი
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი – ქალაქი ბათუმი, მემედ აბაშიძის ქუჩა №9 (ს/კ: 05.21.09.009.01.507);

4. შესასრულებული სამუშაო (სამუშაოები)
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე მანსარდული სართულის შევსების სამუშაოები;

5. სამუშაოთა შუალედური და საბოლო ანგარიშების წარდგენის ვადები
2022 წლის 24 ოქტომბერი; 2022 წლის 08 დეკემბერი;

6. ნებართვის მოქმედება
2020 წლის 16 დეკემბერი - 2022 წლის 08 დეკემბერი;

7. ნებართვა გაცემულია
საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 დეკემბრის №386 დადგენილების საფუძველზე;

8. სანებართვო მოწმობის გაცემის თარიღი
2022 წლის 08 სექტემბერი;

სააგენტოს დირექტორის მ/შ
ზაურ ახვლედიანი

_____